

# მხატვრული ტექსტის აგების ერთი შესაძლებლობისათვის ქართულში

გელდიაშვილი ნუნუ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.05>

**აბსტრაქტი.** ტექსტის, როგორც ენისა და მეტყველების უმაღლესი საკომუნიკაციო ერთეულის, კომპლექსური სამეტყველო ქმედების, სტრუქტურისა და ფუნქციური ასპექტების კვლევა დღეისათვის ძალზე აქტუალურია, რადგან ნებისმიერი ტექსტი ფუნქციონირებს კონკრეტულ სამეტყველო აქტში. ტექსტის მოდელირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი კომპონენტთა (ტექსტის/მეტატექსტის კონსტიტუენტთა) ურთიერთდაკავშირების საშუალებებია. ასეთთა შორის (ზმნა-შემასმენელთა დრო-კილოს ფორმები, ჩართული სიტყვები და გამოთქმები, სინონიმები თუ ანტონიმური, ნაცვალსახელო ჩანაცვლებები) განიხილავენ ასევე ლექსიკურ თუ სემანტიკურ (სიტყვათა და შესიტყვებათა) გამეორებებს, რაც ამჯერად ჩვენი დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს. დავინტერესდით, რა სურათს მოგვცემდა ეს შესაძლებლობა მხატვრულ, კერძოდ კი, მცირე პროზის ტექსტებში, რომელთათვისაც ძირითადად დამახასიათებელია სხარტი, ლაკონური, დინამიკური თხრობა, გარკვეული რიტმულობაც კი. ამდენად, ნაშრომში ვაანალიზებთ გამეორებას, როგორც ქართული მხატვრული ტექსტის აგების ერთ-ერთ ენობრივ, ტექსტის/მეტატექსტის კომპონენტთა შეკავშირებისა და აზრობრივად შეკვრის შესაძლებლობას.

კვლევის მიღებულ შედეგებზე დაყრნობით შეიძლება ითქვას, რომ გამეორებული ლექსიკური ერთეულებიდან ჭარბობს ზმნა (32%), არსებითი სახელი - 27%-ია; ზედსართავი სახელი - 5%; ზმნიზედა - 14%; ნაწილაკი - 8%; სხვა დანარჩენი - 14%.

საანალიზო მასალის მიხედვით გამოიკვეთა ტექსტის, მისი ნაწილების, აზრობრივად შეკავშირებისათვის გამოყენებული 1. ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულების გამეორებები; 2. სიტყვათშეთანხმებათა გამეორებები. დადასტურდა, როგორც კონტაქტური (მეზობელ წინადადებაშივე არსებული), ისე - დისტანციური (ერთი ან რამდენიმე წინადადების შემდეგ) გამეორების ნიმუშები.

საინტერესო აღმოჩნდა ანაფორული გამეორებები, ანადიპლოზისი თუ სარკისებური გამეორება, ასევე, იდენტური ან მსგავსფუძიანი სიტყვების ერთმანეთის გვერდით არსებობა.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია არა მარტო ცალკეული სიტყვების, არამედ ფრაზების, სიტყვათშეთანხმებების გამეორების შემთხვევებმა. ნიშანდობლივი აღმოჩნდა არა ერთი, არამედ ერთდროულად რამდენიმე ლექსიკური ერთეულის, სიტყვისა თუ ფრაზის გამეორებაც.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ მცირე პროზის ტექსტებში გამეორება, როგორც ტექსტის ნაწილების შეკავშირებისა და აზრობრივად შეკვრის ერთ-ერთი შესაძლებლობა, ცალსახად ექსპლიციტურია (ხილულია) და არა იმპლიციტური (უხილავი); ზოგი მას ძლიერ, ზოგიც - სუსტ საშუალებად მიიჩნევს. ჩვენ საბოლოო შეფასებისაგან ამ ეტაპზე თავს ვიკავებთ, თუმცა, ერთი შეხედვით, საკმაოდ ძლიერ საშუალებად წარმოგვიდგება.

**საკვანძო სიტყვები:** ტექსტის აგება, გამეორება, აზრის შეკვრა, მცირე პროზა

## შესავალი

ტექსტი ლათინური სიტყვაა და ცნობილია, რომ „ნაქსოვს“, „ქსოვილს“, „შეთხზვას“ უკავშირდება; მას განიხილავენ, როგორც ენისა და მეტყველების უმაღლეს საკომუნიკაციო ერთეულს, კომპლექსურ სამეტყველო ქმედებას, სწორედ ამიტომ მისი კვლევა დღეისათვის ძალზე აქტუალურია - აქ მოიაზრება ტექსტის, როგორც სტრუქტურის, ისე ფუნქციური ასპექტების შესწავლა, რადგან ნებისმიერი ტექსტი ფუნქციონირებს კონკრეტულ სამეტყველო აქტში.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ენის დონეებრივ მოდელს (1. ფონოლოგიური - ენობრივი ერთეული ფონემა; 2. მორფოლოგიური დონე - ენობრივი ერთეული მორფემა; 3. ლექსიკური დონე - ძირითადი ერთეული სიტყვა; 4. სინტაქსური დონე - ერთეული წინადადება) დაემატა მე-5 - ტექსტობრივი დონე, როგორც უმნიშვნელოვანესი და ჩამოყალიბდა ცალკე დისციპლინა ტექსტის ლინგვისტიკის სახით. სწორედ ამ სივრცეში (ტექსტის მოდელირების საკითხები) ერთ-ერთ ძირითად საკითხად განიხილება ტექსტის კომპონენტთა (მეტატექსტის კონსტიტუენტთა) ურთიერთდაკავშირების საშუალებები. ამ მიმართებით არსებულ შესაძლებლობებს შორის, როგორცაა ზმნა-შემასმენელთა დრო-კილოს ფორმები, ჩართული სიტყვები და გამოთქმები, სინონიმები თუ ანტონიმური, ნაცვალსახელური ჩანაცვლებები, განიხილავენ ასევე ლექსიკურ თუ სემანტიკურ (სიტყვათა და შესიტყვებათა) გამეორებებს, რაც ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს მოცემულ ნაშრომში.

დავინტერესდით, რა სურათს მოგვცემდა ეს შესაძლებლობა მხატვრულ, კერძოდ კი, მცირე პროზის ტექსტებში, რომელთათვისაც ძირითადად დამახასიათებელია სხარტი, ლაკონური, დინამიკური თხრობა, გარკვეული რიტმულობაც კი. ასე რომ, ჩვენი ყურადღება ეთმობა გამეორებას, არა როგორც სტილისტიკურ შესაძლებლობას (რაც თავისთავად ძალზე საინტერესოა), არამედ გამეორებას, როგორც ქართული მხატვრული ტექსტის აგების ერთ-ერთ ენობრივ შესაძლებლობას (ტექსტის/მეტატექსტის ნაწილების შეკავშირებისა და აზრობრივად შეკვრის


შესაძლებლობას).

### მსჯელობა

ცნობილია, რომ არსებობს გამეორების სხვადასხვა სახე: ბგერითი, მორფოლოგიური, ლექსიკური, სინტაქსური... [კოშორიძე 2005: 116]. ამათგან „დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირების ერთ-ერთ გავრცელებულ და ტიპურ საშუალებას წარმოადგენს ლექსიკური განმეორება“ [სერგია 1989: 164]. ანალიზმა ცხადყო, რომ ქართული მცირე პროზისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი სწორედ ლექსიკური გამეორებაა.

პირველ რიგში, განვიხილოთ, თუ რა ტიპის ლექსიკური ერთეულები (რომელ მეტყველების ნაწილები) მეორდება ყველაზე ხშირად ტექსტის აზრობრივად შეკავშირებისათვის.

კვლევის მიღებულ შედეგებზე დაყრნობით შეიძლება ითქვას, რომ გამეორებული ლექსიკური ერთეულებიდან ჭარბობს ზმნა (32%), არაერთგვარი რაოდენობრივი მაჩვენებელი მივიღეთ მეტყველების სხვა ნაწილებთან დაკავშირებით, გარდა ნაწილაკისა, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება. რაოდენობრივი ანალიზის შედეგი პროცენტული მაჩვენებლის სახით წარმოდგენილი გვაქვს დიაგრამაზე.



საანალიზო ტექსტების საფუძველზე გამოვყავით ტექსტის, მისი ნაწილების, აზრობრივად შეკავშირებისათვის გამოყენებული 1. ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულების გამეორებები და 2. სიტყვათშეთანხმებების გამეორებები. „აღნიშნავენ, რომ ტექსტის ყოველი ელემენტის აზრი გამოისახება ტექსტის რომელიმე სხვა ელემენტის მთლიანი ან ნაწილობრივი განმეორებით“ [სერგია 1989: 165].

„გამოყოფენ კონტაქტურ და დისტანციურ განმეორებებს. კონტაქტურად მიიჩნევენ განმეორებას, როცა ლექსიკური ერთეული მეორდება მეზობელ წინადადებაში, ხოლო, როცა სიტყვა მეორდება ერთი ან რამდენიმე წინადადების შემდეგ, მას დისტანციურ განმეორებას უწოდებენ“ [სერგია, 1989: 165]. საანალიზო ენაში დასტურდება, როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური გამეორების შემთხვევები, იშვიათად, მაგრამ მაინც, ორმაგი - მიჯრით გამეორებული სიტყვების სხვა წინადადებაში ან აზვაცში გამეორების ნიმუშები, თუმცა, კონტაქტური გამეორება ყველაზე მეტადაა დახასიასიათებელი; გამეორებული სიტყვები ერთმანეთთან უშუალო კავშირში, გვერდიგვერდ, ზოგჯერ „და“ კავშირით შეერთებული გვხვდება:

„ურმები კიდევაც შემოვიდნენ ვენახში და ვენახი აახმაურეს“ [არაგვ. 1970; 275];

„მიდიოდა ყოველდღე კანცელარიაში, სადაც თავ-აუღებლივ სწერდა, სწერდა და სწერდა... მოდიოდა სამსახურში, იქაც ხალისით სწერდა, სწერდა და სწერდა“ [არაგვ. 1970; 210-212];

„-რალა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბაწრით ჩამოიხჩო თავი ამ ოჯახქორმა! - ბრაზობდა და იწყევლებოდა მეზობელი“ [ლორთ. 1953: 92];

„ბევრჯელ მოგმართე გულწრფელად, ბევრჯელ მოგაპყარ ცრემლიანი თვალები, მაგრამ შენგან ნუგეში ვერ მივიღე“ [არაგვ. 1970: 59];

„რამდენი სიყვარული, რამდენი ჯაფა მოუნდებოდა იმ მშვიდობიანობის მოყვარულ ჩინელს, ამ ოთხიოდე საუკუნის წინათ, შენი პორცელანის ფორმებისა და ფერების მოსაგონებლად. მერე რამდენი სიყვარული მოიმკო მისმა ქმნილებამ შენი ცოლის წინაპრებისა და შენს ოჯახში, რამდენი სულიერი სიკეთე და სათნოება უნდა გამოეჩინათ შენ მახლობელ ხელებს...“ [გამს. 1992: 28-29];

„აჰ, სილამაზე! რამდენი წამალი, რამდენი მელანი, რამდენი სიტყვა დახარჯულა მის გამოსახატავად...“ [გამს. 1992; 53];

„ეს რა ვაი უშველებელი ყოფილა, ჩემო ბატონი, არ აქანავებს ამხელა სახლს, ამხელა სოფელს თავისი საქონსაყოლიანად ნაფოტივით?“ [მიშვ. 1977: 7];

„ზოგმა ფიცარი მოიყოლა, ზოგმა საბოძე მორები“ [მიშვ. 1977: 9];

„ცა იქუშება, ცა ინაზდება“;

„ვის სცალია შენთვის, ვის ახსოვხარ შენ!“ [მიშვ. 1977: 5];

„სადაა სტუმარი, სადაა მომსვლელი“ [მიშვ. 1977: 5];

„ყველაფერი ვიცით, ყველაფერი ნათელია“ [მიშვ. 1977: 6];

„უზომოდ ლოთობს, ან უზომოდ მუშაობს“ [გამს. 1992: 54];

„-ტყუილია, ღმერთია მოწმე, ექვთიმია, რომ ტყუილია!“ [ლორთ. 1953: 113];

„ქეთოს კი შია, პირდაპირ შია. მაგრამ ქეთო ნამდვილი ანგელოზია...“ [ლორთ. 1953: 80];

„დაძინებამდე ჩვეულებრივად იგი თავის თაგვს ელოდებოდა, განუყრელი თაგვი კი დღეს რატომღაც იგვიანებდა. ეს თაგვი კაი ხანია შეეჩვია ამბერკის ოთახს“ [მიშველაძე, 1977; 23].

„დილით თოვლს სიმაღლემ ცოტა შემაფიქრიანა. კიბე დაუფარავს და ზედ აივანზე ამოსულა თოვლი. წვრილად თოვს., ღერდილივით, მაგრამ ხვავრიელად. ჭას ერთ

მტკაველზე მოუსჩანს ხუფი. ესე იგი მეტრ-ნახევარი მაინც იქნება **თოვლი**. ჯერ, პირველ რიგში, ჩეჩმამდე უნდა გავკვალო. ტყაპუჭი მოვისხი და **თოვლის** საწმენდი მოვძებნე“ [მიშვ. 1977: 11];

„კარგად გრძნობს ამას **ტიტიკო** და ამისათვის არც სტირის. კმარა, რაც იტირა, რაც ცრემლები აფრქვია **ტიტიკომ!**.. ბათოს ერთი კვირის ავადმყოფობამ სულ ჩაარჩია **ტიტიკო**. ბათო ფილტვების ანთებით იყო ავად. მეტად იტანჯებოდა ბათო. იმასთან ერთად არა ნაკლებ **ტიტიკოც** იტანჯებოდა. ბათოს ყოველი კვნესა, გამწვანებული სუნთქვა **ტიტიკოს** ლახვარივით გულს ესობოდა და უწყალოდ სერავდა“ [არაგვ. 1970: 209-210];

„... ეს ორი კვირაა შაქროიას სახლს მოვრჩით და **ისევ** მომძებნა მარტოობამ. **ისევ** გაუთავებელი ღამე. **ისევ** შეშა და ჩალა, ძილად მიგდებული ძაღლი და ბუხარი. **ისევ** ჩემი, გამოუღლებელი საქმისაგან დამუნჯებული დედაბერი“ [მიშვ. 1977: 10].

გამეორებულ სიტყვებს შორის ზოგჯერ დგება ზმნიზედა, რაც აძლიერებს გამეორებული სიტყვით გამოხატული ცნების აზრს:

“**ცხელა**, საშინლად **ცხელა**” [არაგვ. 1970: 341]; „ქეთოს კი **შია**, პირდაპირ **შია**“ [ლორთ. 1953: 80]; „**ღრმად**, ძალიან **ღრმად** ჩაისუნთქ-ამოისუნთქა და ჩულივით იქვე ტახტის გვერდით ჩაეხვია“ [არაგვ. 1970: 214]...

**ანაფორული გამეორება** (ლიტერატურული ფიგურა, რომელიც შედგება სიტყვის ან სიტყვების ნაკრების გამეორებისაგან ლექსის ან ფრაზის დასაწყისში) ზოგჯერ არა ორ-სამ, არამედ რამდენიმე წინადადებას, აბზაცს აკავშირებს:

„**მე მინდა** ვუმღერო ნებაყოფლობით მგლოვიარეებს, რადგან ასეთი იყო მნათე ოქროპირ...“

**მე მინდა** ვუმღერო უიმედო გლახაკს, რომელმაც დიდების პორფრი უნდა მოიხსნას, რადგან ასეთი იყო მნათე ოქროპირ...“

**მე მინდა** ვუმღერო სიბნელეში დაბრმავებულებს...“

**მე მინდა** ვუმღერო გრიგალისაგან შერყეულეებსაც, რადგან ასეთი იყო მნათე ოქროპირ...“

**მე მინდა** ვიმღერო ექსტაზში დაღუპულისთვის... (ზარები გრიგალში);

„არიან ადამიანები - ნებაყოფლობით მგლოვიარენი. **ისინი არ გრძნობენ არც** ძრწოლას, **არც** მოწყენას, რადგან მათთვის უცნობია დიდი სიხარული. **ისინი არ გრძნობენ** გლოვას, რადგან მათ სულში არავის დაუთესია იჭვის გესლი. **ისინი უკეთესს არ** ინატრიან, რადგან უკეთესი ვერ წარმოუდგენიათ“ [გამს. 1992: 64];

**ანადიპლოზისი** (წინადადების ბოლო სიტყვის ან გამოთქმის გამეორება, მომდევნო წინადადების თავში) ამ ფორმით შეკავშირებული ტექსტი, ჩვენი აზრით, საკმაოდ მრავლისმთქმელია აზრობრივად:

„სად არის ნეტავ ბარონ როსტრუპის პორცელანი? ვფიქრობ ხანდახან... ეგენ ნიუ-იორკის რომელიმე **მუზეუმში**. **ჰმ მუზეუმი! მუზეუმი** სხვა რაღაა თუ არა უშველებელი სასაფლაო..“ [გამს. 1992: 28]; „სახურავიდან ამოდოდა კვამლი და იყო პატარა **ოჯახი, ოჯახი** იგი ეკუთვნოდა სილიბისტრო ქაშაძეს“ [ლორთქ. 1953: 85];

„მოიმიზეუა რაღაც, დაიწყო **ტირილი; ტიროდა** დიდხანს, სანამ არ მიემძინა...“ [ლორთქ. 1953: 93]; „ამ ქვეყანაზე არაფრის **მეშინია, მეშინია** მხოლოდ მკვდრისა,

მიტომაც მუდამ მძაგდა სასაფლაო ღამით, და ეს ტყეც ჩემთვის **სასაფლაოა, სასფლაოა**, სადაც ერთი უპატრონო მკვდარი ჰკიდია ხეზე“ [გამს. 1992: 41]; „გუგულია თუ ადამიანი? ადამიანი ადამიანს ეძებს ტყეში, მე კი არავის ვეძებ, არავინ მეძებს“ [გამს 1992: 40]; „ჩემს ხანგრძლივ უძილო ღამეებში, მარტობაში და უცხოობაში ისინი რეკავენ. რეკავენ, თითქოს ვიღაცას ჩემთვის ძვირფასსა და საყვარელს მიასვენებენ სადღაც, დიდი ქალაქის ბნელ ქუჩებში“ [გამს. 1992: 19]; „ჩემთან სიძე მევიდა. სიძე მევიდა თავის ფეხით“ [მიშვ. 1977: 20]; „...როგორ შეიძლება **სახლის ჩაბნელება. ჩაბნელებული სახლი** უპატრონოს ჰგავს“ [მიშვ. 1977: 17]; „მინდოდა კიდეც შემომეკრა, მაგრამ **შემეცოდა. შემეცოდა** სიკვდილისგან დაშინებული ღმერთკაცი“ [გამს. 1992: 44];

**სარკისებური გამეორება**, როდესაც მოსაუბრისათვის მნიშვნელოვანი სიტყვები ან ფრაზები მეორდება და თან ახლავს მკვეთრად გამოხატული ემოციები, იშვიათია საანალიზო ტექსტებში: „**კენტად და წყვილად. წყვილად და კენტად...**“ „**ლუწი და კენტი, კენტი და ლუწი**“ [გამს. 1992: 68].

ტექსტის ნაწილების შესაკავშირებლად „წმინდა მორფოლოგიურ გამეორებასთან ერთად, ყურადღებას იქცევს ლექსიკურ-მორფოლოგიური გამეორება, კერძოდ, იდენტურ ან მსგავსფუძიან სიტყვათა გამეორება ერთმანეთის გვერდით“ [კოშორიძე, 2005: 119]:

„**თოვლგარეულად წვიმს, თოვლის** დამძიმებული ფიფქი ზოლივით გაკრთება წვიმაში და დამბალ მიწაზე დაცემისთანავე ქრება. **თოვლ-წვიმა** გულს მირევს. რომ **მოთოვოს**, უკეთესია. სხვანაირი იერი დაედება გარემოს“ [მიშვ. 1977: 8];

„**ქვა-კი გუგუნებს, გუგუნებს** და ყოველ **დაგუგუნებაზე** საფქვილე პირიდან ბლუჯა-ბლუჯა ფქვილი გადმოდის და ალაში სრიალი ჩააქვს“ [არაგვ. 1970: 142];

„ასიოდე წლის შემდეგ სამი პარალელური მოძრაობა იქნება ალბათ ქვეყანაზე: **მიწაზე, მიწის** ზევით და **მიწის ქვეშ**“ [გამს. 1992: 29];

„**სამი წელი - სამჯერ** გამოწეული მუცელი და შეზნექილი წელი; **სამჯერ** ჭორფლი და მჟავე კიტრი“ [ლორთქ. 1953: 117];

„გუშინ უკანასკნელი ნახევარი თეფში **ფქვილი** ხშიადად გამოაცხო და გუშინვე შექამა, დღეს-კი აგერ დაწანწალებს და აქა-იქ, სადაც წინად მრავლად იყო **ფქვილი**, დაემებს, მაგრამ ყველა ის ადგილი, ყველა **საფქვილე** ავეჯეულობა დაწმენდილი და დარაკრავებული ხვდება. „ერთი ბეწო მაინც იყოს სადმე!...“ უსიტყვოდ იძახდა ყოველი გაჩხრეკის დროს, მაგრამ ეს „ერთი ბეწოც“ არსად იყო, **ფქვილის** ნაალაგევიც აღარას ეტყობოდა“ [არაგვ. 1970: 143];

„**იმის თვალებს ეღვარება** უფრო მოემატა; **ელვარე მისი თვალები** დააშტერდა ერთ წერტილს“ [არაგვ. 1970: 89];

ერთ-ერთი განსაკუთრებული თავისებურება ტქსტების დასასრული და იქ არსებული გამეორებებია. გამეორება ნოველების დასასრულის ნიშანდობლიობადაც შეიძლება ჩაითვალოს - ავტორი აჯამებს, ხაზს უსვამს მთავარ სათქმელს და ამას ხშირად რიტორიკული ხერხით აღწევს: „**მხოლოდ გმირობაა** წარუხოცელი! რადგან ნამდვილი **გმირობა** უსახელოა მეტწილად, და იგი განაგრძობს ზეგავლენას მაშინაც, როცა **გმირობის** ჩამდენელს ვერ მიუვა ამბავი ამისა“ (კ. გამს.). ზოგჯერ

გამეორებული ცალკეული სიტყვა ან ფრაზა, ან მთლიანი წინადადება, რომელიც ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევს, ტექსტს ასრულებს, მაგ: „აწვიმდა სამრეკლოს. აწვიმდა საყდარს“ (გამს. „ზარები გრიგალში“).

დასტურდება არა მარტო ცალკეული სიტყვის, არამედ ფრაზის, სიტყვათშეთანხმების გამეორების შემთხვევები. ამ მოვლენას პარალელიზმს უწოდებენ, „წინადადებათა მეზობლობაში იმავე სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენება და ხაზგასმა“ [სანიკიძე, 2009: 101]:

„ნახევრად ღია კარებში იდგა იმპერატორი. მას სისხლივით წითელი პორფირი ეცვა. ხელში ვარდები, სისხლივით წითელი, იკივლეს ვარდებმა ჩემს დანახვაზე როგორც ჩემმა ათასმა საყვარელმა, რომელთაც არასოდეს უნახავართ. იკივლეს ვარდებმა ჩემს დანახვაზე“ [გამს. 1992: 43];

„ორმოცი წელიწადია ამაზე მაქვს ლაპარაკი, ორმოცი წელიწადია არ შევიდა ამის თავში...“ [მიშვ. 1977: 17];

„-უნდა წავიდე!

-უნდა წავიდე. გაიმეორა მელიტონმა.

-... არ უნდა ახლა ამას ლაპარაკი. უნდა წავიდე“ [მიშვ. 1977: 20];

„ჩუ!... ვისილაც ფეხის ხმა მოისმის! მზექალა სმენად გარდაიქცა. უნებურად ზეზე წამოიჭრა... „ფეხის ხმაა, ფეხისა!“ ბუტბუტებდა მზექალა. მართლაც, ფეხის ხმა უფრო მკაფიოდ ისმის... არა ჰგავს დაღონებულის, დამარცხებულის ფეხის ხმას...“ [არაგვ. 1970; 364]; „ბესო კი ლალი და გახარებული, რომ ხელში ჰყავდა დამონებული, მხოლოდ ქალს ბავშვური თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად დასდევდა, თავს ევლებოდა, ეხვეწებოდა და მჭმუნვარებას ეძლეოდა, თორემ იცოდა, რომ ხელში ჰყავდა დამონებული“ [ლორთ. 1953: 79]; „-იცი, ძვირფასო, პირველი ჭაღარა, პირველი ჭაღარა! გასულ შაბათს ეს არა გქონია. პირველი ჭაღარა“ [გამს. 1992: 38]; „ხვალ ახალი წელიწადია!...“ წამოიძახა მთლად ჩამომხმარმა და წელში ორად მოხრილმა დედაბერმა, რომელიც ჩულის ნაგლეჯებზე მიგდებულიყო სარდაფის პატარა ნესტიან ოთახის ერთ კუნჭულში და ზევიდან ისეთივე ჩულის ნაგლეჯი წაეხურა...“ [არაგვ. 1970: 58];

საანალიზო ტექსტებისათვის ნიშანდობლივი აღმოჩნდა არა ერთი, არამედ ერთდროულად რამდენიმე ლექსიკური ერთეულის, სიტყვისა თუ ფრაზის, გამეორება: „მე მუდამ შეყვარებული ვიყავი ვიღაც უცნობ ქალზე, იმ ქალს სწორედ ასეთი თეთრი, ვასვასა კანი უნდა ჰქონოდა, ასეთი საფირონისფერი თვალები, ასეთი ხელები, სწორედ ასეთი ხელები. მასაც ასეთი მთვრალი შემოხედვა უნდა ჰქონოდა, მასაც ასეთივე ბეჭედივით ვიწრო ტუჩები... ახლა ვეღარც მის სახეს ვხედავ, ვეღარც მის ხელებს, ვეღარც მის მშვენიერ მომრგვალებულ მხრებისთავეებს, ვერც მის სილუეტს“ [გამს. 1992: 35]; „ვეჩიჩინეთ, ვეჩიჩინეთ, ნუ ირთავ, ნუ ირთავ-თქო, მარა არც მე დამიჯერა და არც ქალბატონს... [ლორთ. 1953: 124]; „რა ვიყავი შენთვის, დადიანის ქალისათვის, მე, კუზიანი, კოჭლი, მონძებში გახვეული მათხოვარი? რათ გაიმეტე თავი ბებერი არსებისათვის, რომელსაც სათხებოში ძინავს და ღორის საზრდოს ნატრულობს? შევარდენი ჩემზე მეტად გიყვარდათ და გასიამოვნებდათ; ყაბალახ-ნაზადი ათასწილად ჩემზე მეტად ღირდა!.. რისთვის დაივიწყე ისინი და

გადამარჩინე მე? რისთვის გაიმეტე თავი? მე კუზიანი ვარ, კოჭლი, მოხუცი; სახე უხეში ბალნითა მაქვს შემოსილი...“ [ლორთ. 1953: 131]; „გავიქეცი, გავიქეცი, მე მშიშარა, ისე როგორც ბავშვობაში ეკლესიიდან გავქეუღვარ ხოლმე. უკვე ქალაქში ვარ, უკვე სინათლეში ვარ“ [გამს. 1992: 41]; „საკვირველია სწორედ, როცა არავინ გვიჩქარის, როცა არავითარი საქმე არა გვაქვს, არც არავითარი განსაკუთრებული მიზანი, მაშინ მაინც სად მივჩქართ? სად მიგვესწრაფის სული? როცა ჩვენ გვგონია ვისვენებთ, როცა ჩვენ გვგონია თავისუფლად ვსუნთქავთ და ბოლთას ვცემთ, მაშინაც ვიღაც კოფოზე გვაზის და სადღაც მიგვაჩქარებს“ [გამს. 1992:39]; ლევანიკა თავიდან იწყებდა. უამბობდა თავის თავს ყველაფერს დაწვრილებით , მაგრამ რატომ აგრე მოხდა, რატომ აირია ქვეყანა - ვერ შეეგნო და ვერ შეეგნო“ [ლორთქ. 1953: 109]; „ყველაფერი ჩატარდა ძველებურათ, სულ ძველებურათ, ისე, როგორც ჩვენში წინათ ხდებოდა ყველგან, სადაც კი ჯვარს იწერდნენ, ორმოცი წლის წინათ ხდებოდა ხშირათ, 20 წლის წინათ ზოგჯერ, 10 წლის წინათ იშვიათად, და ახლა კი შეუძლებელია“ [ლორთქ. 1953: 116 „საათები ბინის კედლებზე, საათები მოედნებზე, საათები რკინისგზის სადგურებზე. საათები ეკლესიის გუმბათებზე, და სატრიუმფო ჭიშკრებზე, რეკავენ, რეკავენ, ზართა და ზათქით მისვენებენ მზე გადასულ დროს; რომელიც ყველაფერს გვართმევს, ყველაფერს თან წაიღებს, რაც აქამდის გვიგრძენია, ყველაფერს რაც გვეყვარებია და შეგვძულებია. ჩვენს დიდ სიყვერულსა და ჩენს დიდ ნუგეშს, ჩვენს დიდ სიხარულდა და პატარა ბედნიერებას. ჩვენს დარდსა და ჩვენს გულის ჭირს. ჩვენს ღიმილსა და ჩვენს ცრემლებს. ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები, საათები ჩვენი ბინის კედლებზე, საათები ქალაქის მოედნებზე, საათები სიკვდილის სატრიუმფო ჭიშკრებზე...“ [გამს. 1992; 19-20];

„არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიტყვები: „შეგენანა“, „მოიმადლიერო“ „სადირალი პატივი“...

არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიტყვები:

„შეგენანა“,

„მოიმადლიერო“ (თუ „მოინადირო“?..)

„სადირალი პატივი“... [ლორთ. 1953; 121];

## დასკვნა

კვლევამ დაადასტურა, რომ გამეორება მცირე პროზის ტექსტთა ნაწილების აზრობრივი სრულყოფისა და შეკავშირების ნიშანდობლივი ხერხია. დასტურდება როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური გამეორება, ანაფორა და ანადიპლოზისი. მათ შორის, კონტაქტური და ანაფორული გამეორება მეტად ვლინდება. გამოვლინდა არა მარტო სიტყვების, არამედ ფრაზებისა და წინადადებების გამეორება. ყველაზე ხშირია ზმნის გამეორება. გაცილებით მეტია ცალკეული სიტყვების გამეორება, ვიდრე ფრაზების.

ერთი, რაც შეიძლება ცალსახად აღინიშნოს ისაა, რომ ეს შესაძლებლობა მკვეთრად ექსპლიციტურია (ხილულია) მცირე პროზის ტექსტებში და არა იმპლიციტური (უხილავი); ზოგი მას ძლიერ, ზოგიც - სუსტ საშუალებად მიიჩნევს, ჩვენ საბოლოო შეფასებისაგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ, თუმცა, ერთი შეხედვით,



საკმაოდ ძლიერ საშუალებად წარმოგვიდგება.

### ლიტერატურა:

1. თევდორაძე, ნ. (2010)., ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. კოშორიძე, ე. ( 2005)., მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.
3. სერგია, ვ. (1989)., ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“

## Literary Text Constructing Possibility

Geldiashvili Nunu

Iakob Gogebashvili Telavi State University

### Abstract

Nowadays, the study of a text, as the highest communication unit of language and speech, complex speech act and its structural and functional aspects, is quite relevant, as any type of text functions in specific speech act. Among the possibilities of text construction, identifying the means of component (constituents of text or metatexts) interconnection is one of the important tasks. Lexical and semantic repetitions (of words or word combinations) are also discussed next to the components such as tense and mood forms of a verb, inserted words and expressions, synonyms or antonyms, and pronoun substitutions. And the goal of our research is to discuss these lexical and semantic repetitions in literary texts. We tried to analyze these forms in short stories, that are mainly characterized by short, laconic and dynamic narration style and distinguished by their specific rhythm. Thus, in our research we study the repetition as one of the linguistic possibilities of constructing Georgian literary text and, as we have already mentioned it is also considered as one of the means of component (text or metatexts) interconnection that forms the logical unity in a text.

Based on the study results, it can be concluded that verb predominates among the repeated lexical units (32%), and then comes the noun -27%; adjective - 5%; adverb - 14%; particle size - 8% and all the other units comprises 14%.

According to the research findings, the following units were used for logical coherence in the text and its components: 1. repetitions of one and the same lexical units and 2. repetitions of word combinations; Both, contact (existing in the neighboring sentence) and remote (after one or more sentences) repetition patterns were found in the study materials.

We have also found interesting examples of repetition of anaphora and anadiplosis; repetition of identical words or the words made up of the same stems.

Special attention was paid to the repetition of phrases and word combinations; examples of repetition of several lexical units, words or phrases at the same time was significant.

Based on the research, it can be clearly stated that using the repetition in short stories, as one of the possibilities of connecting and forming the logical unity of text components, is also uniquely explicit (visible) but not implicit (invisible);

Some linguists consider it as a strong form while others contradict this idea. At this point, we refrain from making a final appraisal, though, apparently, it seems like a pretty strong unit.

**Key Words:** text construction, repetition, logical unity of text, short stories.